საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030198085462821

№ 01-108/ო **06 / აპრილი / 2021 წ.**

„ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-647/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1. „ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური მზადყოფნისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებების სანებართვო რეჟიმის უზრუნველყოფის განსაკუთრებული პირობების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 დეკემბრის №01-647/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებას 1^2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^3 პუნქტი:

„1^3. შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“ შემდეგ დაწესებულებებს, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალიტეტებში სამედიცინო მომსახურების ექსკლუზიურ მიმწოდებლებს, რეგიონში სამედიცინო სერვისის უწყვეტად მიწოდებისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, „გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY)“ ნებართვის დანართის მოპოვების ვადად განესაზღვროს 2021 წლის 1 დეკემბერი:

- ხარაგაულის სამედიცინო ცენტრი
- ბაკურიანის სამედიცინო ცენტრი
- ონის სამედიცინო ცენტრი
- თეთრიწყაროს სამედიცინო ცენტრი
- თიანეთის სამედიცინო ცენტრი
- ცაგერის სამედიცინო ცენტრი
- ამბროლაურის სამედიცინო ცენტრი
- დმანისის სამედიცინო ცენტრი
- ყაზბეგის სამედიცინო ცენტრი
- წალკის სამედიცინო ცენტრი

· დედოფლისწყაროს სამედიცინო ცენტრი.“.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2021 წლის 1 აპრილიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე